

**ფერეიდნული ტოპონიმიდან - I**  
**ფერეიდნის ქართული სოფლების სახელწოდებანი<sup>1</sup>**

*მოკლე შინაარსი*

ცნობილი ფაქტია, რომ კომპაქტურად მცხოვრები გადასახლებულები ახალ გეოგრაფიულ არეალში ჩასახლების დროს ადგილის სახელების სახელდებას იწყებენ. ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასახლებულები ცდილობენ „ადაღინონ“ მშობლიური გარემო (თუნდაც მხოლოდ ენობრივად) და ამისთვის, პირველ რიგში, ადგილთა სახელდებას იწყებენ: ქმნიან ახალ სახელწოდებებს იმ ადგილებისთვის, რომელიც არ არის სახელდებული, ან მათთვის არ არის სახელწოდება ცნობილი, ან ქმნიან არსებული უცხოენოვანი სახელწოდებების პარალელურ ვარიანტებს საკუთარ ენაზე. ფერეიდნის ტოპონიმიკაც დიალექტური კუნძულისთვის დამახასიათებელი კლასიკური პრინციპით ჩამოყალიბდა. ქართველთა მიერ შერქმეული ადგილის სახელების პარალელურად გვხვდება ოფიციალური, ადმინისტრაციული სახელები, რომლებსაც ისინი, ფაქტობრივად, არ იყენებენ საუბარში. რეგიონის ქართულ ტოპონიმიკურ მასალაში სხვადასხვა ფენა იკვეთება (გადატანილია ტოპონიმი, გადატანილია წარმოების მოდელი და სხვ.). როგორც ირკვევა, ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტებიც ახდენდა გავლენას ტოპონიმიკური ინვენტარის ჩამოყალიბების დინამიკაზე.

**საკვანძო სიტყვები:** დიალექტოლოგია, ტოპონიმიკა, ენობრივი კუნძული.

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი 2017438).

**FROM THE FEREYDANY TOPONYMY - I  
NAMES OF THE VILLAGES OF FEREYDANI**

*Abstract*

It is well known that migrants begin to name their place of residence in a new geographical area. New settlers try to “rebuild” their native environment (at least only linguistically) and start by naming the places: they create new names for places that are not named or are unfamiliar to them, or create parallel versions of existing foreign names in their native language. The Fereydanian toponyms have also emerged from the classical principle inherent to a dialect island. Along with the names of places created by Georgians, there are official, administrative names that they actually do not use in conversation. Various layers of Georgian toponymic material appear in the region (toponyms, a production model and so forth are duplicated.). As it turns out that contacts with the historical homeland also influenced the dynamics of the formation of toponymic inventory.

**Key Words:** Dialectology, Toponymy, Language Island

**შესავალი.** სამყაროს ტოპონიმიკური სურათის, როგორც ენობრივი სურათის ნაწილის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში აღბეჭდილია ადამიანთა ეთნოკულტურული გამოცდილება და ცოდნის სხვადასხვა სახე, მათ შორის ყოფითი, კულტურული და ისტორიულ-სოციალური.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოპონიმიკური სურათის შესწავლა იქ, სადაც მასობრივი მიგრაციული ტალღების შედეგად შექმნილი დასახლებებია. ამ მხრივ დიდ მნიშვნელობას იძენს მეზვიდმეტე საუკუნეში სპარსეთში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ტოპონიმიკის შესწავლა. ბუნებრივია, ფერეიდნელი ქართველების ოთხასწლოვანი ცხოვრების ისტორია სპარსეთის მიწაზე ტოპონიმიაშიც აისახა.

**ფერეიდნული ტოპონიმიის შესწავლის ისტორიიდან**

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ფერეიდნელმა ქართველებმა თავად დაიწყეს ფერეიდნული ტოპონიმების მოძიება და მოგროვება. მათ შორის იყო იმ დროს ფერეიდნის მარტყოფში მცხოვრები (ამჟამად იგი თავისი ოჯახით ქალაქ ისპაჰანში ცხოვრობს) რეზო რაჰიმი (დავითაშვილი). მის მიერ შეკრე-

ბილი მარტყოფის ტოპოერთეულები წარმოდგენილი იყო საქართველოში ტაბახმელაში გამართულ საზღვარგარეთ არსებული სათვისტომოების კონგრესზე 1997 წელს.

2002 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში (II) დაიბეჭდა თედო უთურგაიძის, დარეჯან ჩხუბიანიშვილისა და ჯემშიდ გიუნაშვილის სტატია „ზემო მარტყოფის მიკროტოპონიმიის შესწავლისათვის“. სწორედ ამ სტატიით იწყება ფერეიდნის მიკროტოპონიმიის მეცნიერული კვლევა.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ მიკროტოპონიმიის ანალიზის დროს ეყრდნობიან ძირითადად რეზო დავითაშვილის მიერ შეკრებილ მარტყოფის მიკროტოპონიმიას. სტატიას ერთვის ტოპონიმთა ჩამონათვალი (148 ერთეული). (ჩხუბიანიშვილი 2012: 151).

ფერეიდნულ ტოპონიმებს ეხება ასევე მურად კეშულარიასა და სულხან ქურდოშვილის (ფერეიდნელი ქართველი, სოფელ თორელში მცხოვრები), სტატია „ფერეიდნის ტოპონიმიიდან“, რომელშიც წარმოდგენილია 200-მდე ერთეული, მასალა მოიცავს არა მხოლოდ მარტყოფის ადრე გამოქვეყნებულ ერთეულთა დიდ ნაწილს, არამედ თორელისა და ახჩის ტოპონიმებს.

ფერეიდნელი ქართველები დღესაც ინტერესდებიან ფერეიდნული ტოპონიმების შეკრებით, 2017 წელს გამოვიდა რუჰოლა სეფიანის (ლადო სეფიაშვილის) წიგნი „ირანის ქართველების მშობლიური მხარე“ (სპარსულ ენაზე), რომელშიც განხილულია ფერეიდნის ტოპონიმები.

2008 წლიდან ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით ფერეიდანში და, შეძლებისდაგვარად, ჩავიწერეთ საკმაოდ დიდი მასალა ყველა ქართულ დასახლებაში.

### **ტოპონიმები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში**

მიგრანტთა ისტორიის, თავდაპირველი საცხოვრისის გასარკვევად და დასახუსტებლად გეოგრაფიული სახელების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

თავის ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეტიმოლოგიური პრობლემები“ ივანე ჯავახიშვილი ამიერ და იმიერკავკასიის გეოგრაფიული სახელების ანალიზს გვთავაზობს და აღნიშნავს, რომ „ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ოდინდელი მოსახლეობის ეროვნული ვინაობის გამოსარკვევად ერთ საუკეთესო

საშუალებათაგანად უნდა გეოგრაფიული სახელების ანალიზი იყოს მიხნეული“ (ჯავახიშვილი, 1998: 42).

იგივე შეიძლება გავიმეოროთ ჩვენც ფერეიდნული ტოპონიმების შესწავლის პროცესში: საქართველოდან იძულებით გადასახლებულთა ახალ საცხოვრისში დადასტურებული გეოგრაფიული სახელების ანალიზი საუკეთესო საშუალებაა აქ მცხოვრები ქართველების „ეროვნული ვინაობის გასარკვევად“.

მიგრანტების მიერ დარქმეული სახელები ხშირად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების უტყუარი მოწმეები არიან, თითქოს უჩინო და არაფრით გამორჩეული ტოპონიმიც კი თავისი ფორმითა თუ შინაარსით საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მეხსიერებით წადებული ცოდნა და ინფორმაცია, პარალელები, ერთგვარი წარმოება ტოპონიმისა, ერთგვარი ხედვა სივრცის, რელიეფის შეფასების ერთგვაროვანი უნარი სწორედ ერთი „ეროვნული ვინაობის“ გამომხატველია.

იძულებით გადასახლებულთა დამკვიდრება ახალ ადგილზე, ბუნებრივია, დაკავშირებულია უამრავ სირთულესა და წინააღმდეგობებთან, საუბარია არაა მხოლოდ ფიზიკურ, მატერიალურ პრობლემებზე, არამედ სულიერ, ემოციურ მდგომარეობაზე, ადამიანი თავისი წარსულით, რომელიც მისი მეხსიერების, მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, ცდილობს ახალ რეალობაში მოქცევას, დამკვიდრებას და გარემოს გათავისებას. ეს არის სწორედ ერთ-ერთი მიზეზი მშობლიური ტოპონიმების დუბლირებისა ახალ საცხოვრისში.

ფერეიდანის მაკროტოპონიმის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობის ტოპონიმები, ე.წ. „სეხნია ტოპონიმები“, რომელთა არსებობა ფერეიდანში სავარაუდოდ მოხაზავს იმ არეალს, რომლიდანაც გადაასახლეს ქართველები სპარსეთში. ამ ტიპის ტოპონიმებს მეხსიერებით წადებულ სახელებს ვუწოდებთ: ვაშლოვანი, მარტყოფი/ახორა/აკურა, შავსოფელი, თორელი, რუისპირი...

„სეხნია“ ტოპონიმების გვერდით იქმნება ახალი ტოპონიმებიც იმ სტრუქტურული მოდელების მიხედვით, რომელიც მათი მშობლიური რეგიონისა თუ ზოგადად, საქართველოს სხვა კუთხეებისთვის არის დამახასიათებელი.

ფერეიდნული ტოპონიმების კვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან რეგიონი პოლიეთნიკურია: ქართული დასახლებების გარშემო გვხვდება სომხების, თურქების, ლურჯ-

ბის, ბახტიარების სოფლები. დღეს ვეღარ ვისაუბრებთ მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფელზე, დაბასა თუ ქალაქზე, ფაქტობრივად, ყველგან შეგვხვდება სხვა ეროვნების მცხოვრებიც.

როგორც ისტორიული წყაროებიდან დასტურდება, ქართველების ჩამოსახლების დროს ამ რეგიონში უკვე სახლობდნენ სომხები (გადასახლების წლები - 1603/1605), ბახტიარები, ლურები. სწორედ მათ მეზობლად მოუხდათ ქართველებს დამკვიდრება და ადაპტირება ახალ გარემოსთან. ეს მეზობლობა აისახა ფერეიდნის ტოპონიმებში. მისი ერთი ნაწილი არ არის ქართული წარმომავლობისა და, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს მეზობელ ეთნიკურ ჯგუფებს. ზოგიერთ ოიკონიმს რამდენიმე სახელი აქვს ერთდროულად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თორელი, - ამ ქართულ დასახლებას ასევე აქვს თურქული დასახელება - **დომბეჟამარი** და სპარსული - **მიანდაშტი**. რა თქმა უნდა, ოფიციალურ-ადმინისტრაციული სახელწოდება სპარსულია - **მიანდაშტი**, უფრო სწორად ბუინ-მიანდაშტი - ორი ქართული დასახლება, თორელი და ბონი, გაერთიანებულია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად და დღეს მას უკვე ქალაქის სტატუსი აქვს. ასევე: **მარტყოფი** - **ფერეიდუნშაჰრი**; **ნინოწმინდა** - **ქუდუბანაქი**, **რუისპირი** - **აფუსი** და ა. შ. დღეს, ბუნებრივია, სპარსული წარმომავლობის ტოპონიმები ოფიციალური, ადმინისტრაციული სახელწოდებებია. ასევე შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული ტოპონიმების გასპარსულების პროცესს: სოფელი ვაშლოვანი იწოდება სიბაქად. **ვაშლოვანი** - **სიბაქი** (სიბ - სპარს. ვაშლი). საინტერესოა, რომ სპარსულად ნათარგმნი ტოპონიმის ხელახალი გააზრების საფუძველზე ბოლო დროს გაჩნდა ახალი ხალხური ეტიმოლოგიაც: **სიბაქი** - სპარსულად ოცდაათი ბეგი, დიდებული.

ის, რომ მაკროტოპონიმთა დიდი ნაწილი სინონიმური ხასიათისაა და ერთ დასახლებულ პუნქტს რამდენიმე სახელწოდება აქვს, გამოწვეულია ამ რეგიონის ისტორიული თავისებურებით. საუკუნეების წინ ფერეიდანში გადასახლებული და ხანგრძლივ იხოლაციაში მოქცეული ქართველები განიცდიდნენ ძლიერ ენობრივ გავლენას. ამავე დროს მოქმედებდა თვითგამიჯვნის ასევე ძლიერი ტენდენცია, რომელიც უძალიანდებოდა უცხო ენის ექსპანსიას. ქართული ტოპონიმებისა და ზო-

გადად ტოპონიმების წარმოებაში ქართული მოდელების შენარჩუნება ამ ჭიდილის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა.

### **ფერეიდნის რეგიონის მაკროტოპონიმები**

დღეს ქართული სოფლები ფერეიდნის რეგიონში განლაგებულია ფერეიდუნშაჰრისა და ფარიდანისა შაჰრესტანებში (რაიონი). ზოგჯერ ცალკე ოლქად გამოყოფენ ბუინ-მიანდაშტს. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს რეგიონის დასახელება, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ამ რეგიონის სახელად წყაროებში სხვადასხვა პერიოდში გვხვდება: **ფერია; ფერიეთი, ფრეოდანი, ფერეიანი, ფარიდანი, ფერიდუნი, ფარაიდანი.**

ფერეიანი, როგორც ჩანს, ოთხ **ნაწილად (ნაჰაიად) იყოფოდა, ამ ოთხიდან ერთს ერქვა ნაჰაია გორჯი.** ეს ტოპონიმი სპარსულია და ქართულად ნიშნავს ქართველების უბანს. პირველად სახელწოდება **ნაჰაია გორჯი** გვხვდება ლადო აღნიაშვილის წიგნში: „ფერეიანი დიდი მოზრდილი ადგილია, - განიყოფება ოთხ ნაწილად. თითო მათგანს ეწოდება სახელად ნაჰაია. ნაჰაია გორჯი, ნაჰაია თოჰმაჰლუ, ნაჰაია ვარზად და ნაჰაია ჩადეგუნ“ (ლ. აღნიაშვილი, 1896: 253; 189). უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ლადო აღნიაშვილის მიერ შედგენილ **ნაჰაია გორჯის** რუკაზე მონიშნულია როგორც ქართული, ისე სხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული სოფლები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმმა ნაჰაია გორჯიმ შემოგვინახა ადრინდელი საზღვრები ქართველთა განსახლებისა ფერეიდანში. რუკას თავზე აწერია: „გურჯი ანუ ქართველთა ნაჰაია“ (აღნიაშვილი, 1896: 309).

ქართველების უბანზე ინფორმაციას გვაწვდის სეიფოლა იოსელიანი 1922 წელს (ქართული დიალექტოლოგია, 1961: 153; www.corpora.co, სეიფოლა იოსელიანი), ამბაკო ჭელიძე, რომელიც 1927 წელს იყო ფერეიდანში, აღნიშნავს, რომ „ქართველების უბანს ეწოდება „გურჯი მაჰადე“, თუმცა სპარსულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში ამ სახელს აღარ ახსენებენ. ისინი შედიან ბახტიარების საერთო აღწერაში, როგორც მაჰმადიანები, მათი ვინაობის აღუნიშნავად“ (ჭელიძე 1935: 64).

თვალი რომ გავადევნოთ 1872 წლიდან დღემდე ფერეიდნის ქართული სოფლების ჩამონათვალს, ვნახავთ, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია:

**ფერეიდუნშაჰრი** - იგივე **ქვემო ახორა** (ახორა ფაინი), **ზემო ახორა** (ახორა ბალა), იგივე **სოფელი, ზემო და ქვემო მარტყო-**

ფი,ზემო და ქვემო აკურა; აფუსი/აჭუსი/აჭრუსი, იგივე რუის-პირი; თორელი/თოლელი იგივე მიანდაშტი, თელავი, დომბეკამარი, ქამარი; ბოინი/ბუინი, დაშქესანა, ჩულრუთი, ახჩა, სიბაქი - იგივე ვაშლოვანი, ჯაყჯაყი; შაიურდი/შაჰიურთა/შაფურდი/შაფურთი/შაჰურდი;

ასევე დასახელებულია: დეესური/დეჰსური; ნინოწმინდა/ქუდუბანაქი/ქუდგუნაქი; შანათი/შანათი; დარბენდი/დარბანდი; სარდაბი; ბადიგანი; ალაგოლი; უზუნ ბულაყი; ხამის ლიანი; ავჭალა; გიორგიწმინდა; ხუნგი; თონეთი; ყარაბადი; კუთხე; გაღმა სოფელი; ხევის პირი; მელაანი; მუკუხანი; მარხანი; მეჯრუხევი; ნორიო.

დღეისთვის ქართული სოფლების მხოლოდ ცხრა სახელწოდებაა შემორჩენილი, ესენია: აფუსი (რუისპირი), ბუინ-მიანდაშტი (ბოინი, თორელი,) ახჩა, დაშქესანა, ფერეიდუნშაპრი (ახორა; მარტყოფი), ნეჰზად აბადი (ჯაყჯაყი), სიბაქი (ვაშლოვანი), ჩულრუთი. ქართველები ასევე მოსახლეობენ სოფელ ხუნგში, რომელიც ადრე სომხების დასახლება იყო. 1946 წლის რეპატრიაციის შემდეგ სომხები აქ აღარ სახლობენ.

### **ფერია/ფერეიდანი**

პირველი ტოპონიმი, რომელიც ქართულ წყაროებში გვხვდება, არის რეგიონის სახელი **ფერია**, იგივე **არაყის ფერია**<sup>2</sup>, - მაკროტოპონიმი, რომელიც ქართველ ისტორიკოსებთან გვხვდება სპარსეთში იძულებით ჩასახლებულ ქართველთა საცხოვრისის სახელად:

შააბაზ ყენმა კახეთი წაახდინა და აჰყარა და **ფერიას** გადაასახლა (წიგნი ქორონიკონნი, 1614)“ (ქორდანი, 1897: 441); წავიდნენ, შეეყარნენ აზატ-ხანს **ქვეყანასა არაყისასა ფერიას** (ორბელიანი, 1981: 209).

იმ ფაქტს, რომ ადრე ფერეიდანს ფერიას უწოდებდნენ, ადასტურებს ლადო აღნიაშვილიც, პირველი ქართველი, რომელმაც იმოგზაურა სპარსეთში ფერეიდნელთა მონახულების მიზნით 1894 წელს. იგი წერს: „მთელ ამ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც...“ (აღნიაშვილი, 1896: 188).

ლადო აღნიაშვილის განმარტებაც ნათელყოფს, რომ მე-18 საუკუნისთვის ცოცხალი ტოპონიმი ფერია მე-19 საუკუნის ბო-

---

<sup>2</sup> Araq -ძველი ქართული ტრადიციით არაყი, ფერეიდანი ადრე შედიოდა არაყის რეგიონში.

ლოსთვის საქართველოში იკარგება და ადგილს უთმობს ფერეიდანს.

ქართულ პრესაში სწორედ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურდება ფერეიდნელი ქართველების თემა, ამას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო 1871 წელს ფერეიდნიდან საქართველოში პირველი ფერეიდნელი ქართველის ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლამ.

ფერეიდნის ქართული სოფლების დასახელება 1872 წლიდან გვხვდება ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში. თუმცა პირველ პუბლიცისტურ წერილებში არსად არაა ნახსენები არც **ფერია**, არც **ფერეიდანი**, **ფერიღნი** თუ **ფერიდანი**. მათ ნაცვლად გვხვდება: სპარსეთში მცხოვრები ქართველების სოფლები, უფრო კონკრეტულად, ისპაჰანის მახლობლად მდებარე ქართული სოფლები.

1877 წლის „დროების“ 186-ე ნომერში გადმობეჭდილია ინფორმაცია ენშიადინის სომხურ ჟურნალ „არარატიდან“, სტატიაში არის ცნობები გადასახლებული ქართველების შესახებ: „სულ 2000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ **ჭრეიდანის** მახარის სხვა-და-სხვა სოფლებში, ყველა ესენი თითქმის ნამდვილ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ; ხასიათითა და ჩვეულებით ქართველები არიან, მხოლოდ სარწმუნოება მაჰმადის მიუღიათ“.

ყურადღებას იქცევს ამ სტატიაში ტოპონიმი **ჭრეიდანი** (სრული გახმოვანებით **ჭერეიდანი**), რომელიც, სავარაუდოდ, პირველად ჩნდება ქართულ პრესაში და ამის შემდეგ თანდათან შემოდის მიმოქცევაში.

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ისევ იბეჭდება სპარსელი ქართველების თემაზე სტატია, ისევ მითითებულია წყაროდ ენშიადინის სომხური ჟურნალი „არარატი“, ამ სტატიაში ფერეიდანი ორი ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი: **ფრეჰოდანი** და **ფრეიდანი**.

ზაქარია ჭიჭინაძე 1895 წელს აქვეყნებს ნაშრომს: „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“, რომელშიც ქართველებით დასახლებულ რეგიონს უწოდებს **ფრეოდანს**.

ღაღო აღნიაშვილი თავის წიგნში ამ რეგიონს ფერეიდანად მოიხსენიებს, თუმცა სულ რამდენჯერმე ახსენებს მას.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი. ცნობილი ირანისტი იური მარი თეირანიდან თავის მამას, ნიკო მარს, 1925 წლის 4 მაისით დათარიღებულ წერილში



სწერდა, რომ აპირებდა ქართველების სოფლებში ასვლას. ის ამ რეგიონს უწოდებს ფერიდუნს / ფერეიდანს: „У грузин в Феридуне, или как армяне говорят в Ферейдане буду (ვიქნები ქართველებთან **ფერიდუნში**, ან როგორც სომხები ამბობენ - **ფერეიდანში**)“ (მარი, 1962: 55). როგორც ვხედავთ, იური მარმა გამიჯნა ერთმანეთისგან ეს ორი სახელწოდება იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს მას: ფერეიდანი, როგორც სომხები უწოდებენ ამ მხარეს, და ფერიდუნი, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო გავრცელებული ფორმა უნდა ყოფილიყო იმ დროისთვის.

სავარაუდოდ, ქართულ პრესაშიც სწორედ სომხურიდან თარგმნილი სტატიის შემდეგ დამკვიდრდა ტოპონიმი ფერეიდანი. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში ამ დროისთვის დაკარგულია ცოდნა **ფერიას** შესახებ და მის ადგილს **ფერეიდანი** ადვილად იკავებს.

ფერეიდნის ცენტრი, დიდი ქართული დასახლება რამდენიმე სახელით მოიხსენიება: **ფერეიდუნ შაჰრი/მარტყოფი/სოფელი/ახორა/აკურა**. აქედან მისი ადმინისტრაციული სახელწოდებაა **ფერეიდუნ შაჰრი**. ეს ქალაქი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია აფუსის მთით, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ყაბღესა და დეზის მთები, აღმოსავლეთიდან კი მაჰავერის ბორცვი აკრავს (ჭიპაშვილი, 1972: 89).

ფერეიდუნშაჰრი გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი ტოპონიმია. 1965 წელს ეს ორი დასახლება: **ქვემო ახორა (ახორა ფაინი)** და **ზემო მარტყოფი (ახორა ბალა)** გაერთიანდა და მას ოფიციალურად ეწოდა **ფერეიდუნ შაჰრი**. ოფიციალური სახელის დარქმევისას განიხილებოდა სამი შესაძლო ვარიანტი: გორჯი შაჰრი (ქართველების ქალაქი) გოლე შაჰრი (ყვავილების ქალაქი) და ფერეიდუნ შაჰრი (ფერეიდუნი - ქართული გახმოვანებით ფრიდონი, სპარსეთის ეროვნული გმირი). არჩევანი მესამე სახელწოდებაზე შეჩერდა.

**ზემო ახორა**, სხვაგვარად **ახორა ბალა/ ქვემო ახორა**, სხვაგვარად **ახორა ფაინი**.

ასე უწოდებდნენ ფერეიდუნშაჰრის ნაწილებს, სანამ გაერთიანდებოდა და ქალაქის სტატუსს მიიღებდა. **ზემო მარტყოფი (ახორე ბალა/ზემო ახორა)** ყველაზე დიდი დასახლება იყო არა მხოლოდ ქართულ სოფლებს შორის, არამედ მთლიანად, ფერეიდანის ყველა დასახლებას შორის. აქ იყო დაახლოებით 1000 კომლი. ყველა საუბრობდა ქართულად [აშუროვი,1944].

ქვემო ახორაში სპარსულად ლაპარაკობდნენ. ახორე ფაინშიც მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში მოსახლეობა საუბრობდა მხოლოდ სპარსულად:

1877 წ. გაზეთი „დროება“	ზემო ახორი	ქვემო ახორა
ლ. აღნიაშვილი	ზემო (ბალა) ახორა	ქვემო (ფან)ახორა
სეიფულა ოსელიანი 1922	ახორა-ბალა	ახორა-ფაინი
ალი რაზმარა 1954	ახორე ბალა	ახორე ფაინი
ამჟროვი 1944	ზემო ახორა	ქვემო ახორა

სამეცნიერო ლიტერატურაში **ახორა/ახორეს** ორგვარ ეტო-მოლოგიას ვხვდებით:

**გიორგი ჭიპაშვილი** ირანელი გენერლის **რაზმარას** ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს: „მარტყოფი ფერეიდანის მთისძირის ჭიშკარს წარმოადგენს, იგი უკიდურეს მთებში მდებარეობს და ახორეს სახელწოდებაც აქედან მიუღია, სიტყვა ახორე ეტიმოლოგიურად ახერიდან მომდინარეობს, „ახერ“ სპარსულია და ქართულად ბოლოს, კიდეს ნიშნავს“ (ჭიპაშვილი, 1972: 89).

ასეთსავე განმარტებას ვხვდებით **მარიამ კუტალაძის** საკანდიდატო დისერტაციაში „ფერეიდანი და ფერეიდნელები“. ავტორი მას სპარსულ სიტყვად მიიჩნევს: **ახორე - ბოლო, კიდურა ნაწილი**. „ეს სიტყვა სპარსულია, ასე დაარქვეს მას ალბათ იმიტომ, რომ ეს სოფელი ფერეიდანის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ახორე ე.ი. ბოლო, კიდურ ნაწილს ნიშნავს“ (კუტალაძე, 1990: 82).

ლადო აღნიაშვილს ამ სიტყვის სხვაგვარი განმარტება აქვს თავის წიგნში: „**ახორა** [კი] არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბაგას“ (აღნიაშვილი, 1896: 190).

ამავე მნიშვნელობითაა ახორი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ახორი (მსურ Aa.) ქართული არ არის, ბ ა გ ა ს ჰქვიან ZA. (უკმ.) ცხენის ბაგა B. ცხენის ბაგა Cab. ბაგა CqD.“

**ახორი** შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: ახორი (ახორისა) - ცხენის ბაგა (საბა); 2. სახლს მოშენებული (ან მოღობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, - ბოსელი.

ეს სიტყვა დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის ჯავახურ დიალექტშიც: **ახორი** - პირუტყვის სადგომი, - ბოსელი.

ახორას ეტიმოლოგიაზე განხვავებული ვერსიები შეგვხვდა უცხოელ მეცნიერთან, ბაბაკ რეზვანისთან, რომელიც განიხილავს ფერეიდნის ქართული ქალაქებისა და სოფლების დასახელებებს კავკასიის ადგილის სახელებთან მიმართებით. ახორას ერთ-ერთი ვერსიით უკავშირებს მდინარე ახორიანს, რომლის ნაპირებზეც განლაგებულია ძველი ქალაქი ანი (ანისი) თანამედროვე სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე. მას ეს საუკეთესო ეტიმოლოგიურ ახსნად მიაჩნია ახორასთვის, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ადგილობრივებს სჯერათ, რომ ეს ტოპონიმი წარმოდგება სპარსული სიტყვიდან ახარე (Akhare) (ბოლო პუნქტი, ბოლო ნაწილი) ან ა(ბ) ხორედან (A (b) khore) (სასმელი წყალი); სტატიის ავტორი უშვებს კიდევ ერთ ვერსიას: თუ ხორრე (to Khorre (or Farre)), რაც ღვთაებრივ კურთხევას ნიშნავს (Rezvani, 2008: 608).

ჩვენი აზრით, არც ერთი ამ ეტიმოლოგიური ძიებიდან არ უნდა იყოს სარწმუნო. ყველასთვის ცნობილია, რომ სახელთა ეტიმოლოგია ძალზე საფრთხილო საქმეა და არ არის შედეგიანი მხოლოდ გარეგნული, ფორმობრივი მსგავსების საფუძველზე მსჯელობა.

ვფიქრობთ, ტოპონიმ ახორას კვალი საქართველომდე მოდის.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო ცნობამ. საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელი ქართველის ათამ ონიკაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით ზაქარია ჭიჭინაძე ქართული სოფლების ჩამოთვლისას ახსენებს ზემო აკურასა და ქვემო აკურას ცალკე და მარტყოფს ცალკე დასახლებად მოიხსენიებს, იგი მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასაც მიუთითებს:

მარტყოფი - 1200 კომლი; ... ზემო აკურა - 30 კომლი; ქვემო აკურა - 20 კომლი“ (ჭიჭინაძე, 1895: 22).

ნათელია, რომ აქ მარტყოფი, ზემო აკურა და ქვემო აკურა სხვადასხვა ოიკონიმად არის მიჩნეული, თუმცა ლადო აღნიაშვილმა, რომელიც 1894 წელს ჩავიდა ფერეიდანში და მოინახულა ქართული სოფლები, ზემო და ქვემო აკურას არსებობა იქ ვერ დაადასტურა.

როგორც ლადო აღნიაშვილი წერს, აკურა მცდარი ფორმა უნდა ყოფილიყო ახორასი:

„ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს დამყარებული აქვს ეს თავისი ცნობები რასაკვირველია ბ-ნ ონიკაშვილის სიტყვებზედ, და

რომ ბ-ნ ონიკაშვილს სრული სისწორით არ უამბნია, ამაზე მე დავარწმუნებ მკითხველს შემდეგის მოსაზრებიდან: ორივე ეს სახელი ერთი და იმავე სოფლებისაა. ზემო მარტყოფს სპარსელები ეძახიან ზემო (ბალა) ახორას და ქვემო მარტყოფს ქვემო (ფან) ახორას. აქედან სიტყვა ახორა დაუახლოებია სიტყვასთან აკურა და გამოსულა ორი სოფლის ადგილას ოთხი სოფელი: ზემო მარტყოფი, ზემო აკურა, ქვემო მარტყოფი, ქვემო აკურა. ახორა კი არაბული სიტყვაა და ჰნიშნავს ბაგას“ (ლ. აღნიაშვილი, გვ. 190).

მართლაც, ზემო და ქვემო აკურა გარდა ამ შემთხვევისა, სხვა წყაროში არსად გვხვდება, ამდენად, ლადო აღნიაშვილს სრული საფუძველი ჰქონდა შეენიშნა, რომ ათამ ონიკაშვილის ინფორმაცია მცდარი იყო. მისი აზრით, **ახორა/ახურა** ათამ ონიკაშვილის წარმოთქმით გაგებულ იქნა მცდარად და, სავარაუდოდ, შეცდომის მიზეზიც ეს გახდა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე არ ითვალისწინებს ლადო აღნიაშვილის შენიშვნას, ტოპონიმები **ზემო და ქვემო აკურა** უცვლელად გადმოაქვს მომდევნო გამოცემებშიც. 1906 და 1907 წელს ხელმეორედ გამოცემულ წიგნებში იგი იმავე თანმიმდევრობით გვაძლევს სოფლების ჩამონათვალს. უცვლელადაა შეტანილი **ზემო აკურა და ქვემო აკურა** წლების შემდეგაც. 1922 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაზეთ „ტრიბუნაში“ დაბეჭდილ სტატიასში. აქაც **ზემო აკურა, ქვემო აკურა და მარტყოფი** ცალკე დასახლებებად მოიაზრება.

#### **აკურას შესახებ საუბრობს ამბაკო ჭელიძე:**

„ათამ ონიკაშვილს სოფლის სახელებიც კი აურევია. მას მოხსენებული აქვს ერთი მარტყოფი და ამავე დროს ასახელებს „ქვემო და ზემო აკურას. ეს „აკურა“ გადამახინჯებულია და, შესაძლოა, ბეჭდვის დროს დაუშვეს ეს შეცდომა. ნამდვილად კი „აკურა“ ახორაა – იგივე მარტყოფი. ა. ონიკაშვილს არა აქვს აგრეთვე მოხსენებული ისეთი დიდი და ნამდვილი ქართული სოფლები, როგორცაა ჯაყჯაყი, ნინოწმინდა და სიბაქი. სამაგიეროდ, მას აქვს სრულიად სხვა სახელები – მელაანი, მუკუზანი და მანხაანი, რომლებიც არც აღნიაშვილსა აქვს მოხსენებული, და არც სხვებს უხსენებიათ შემდგომ“ (ჭელიძე, 1935: 167).

ჩვენი აზრით, ათამ ონიკაშვილის მიერ ნახსენები **აკურა** არ უნდა იყოს შეცდომის შედეგი, ვფიქრობთ, ზემო და ქვემო **ახორა** და ზემო და ქვემო **აკურა** ერთი და იმავე დასახლებე-

ბის სინონიმური სახელწოდებები იყო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებისათვის ფერეიდანში ზუსტად ისევე, როგორც ეს საქართველოში დასტურდება ძველ წყაროებში.

ქართული ისტორიული დოკუმენტების შესწავლამ ძალზე საყურადღებო სურათი გვიჩვენა და ჩვენი ვერსია გაამყარა. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ შუა საუკუნეების საქართველოში **აკურას** სახელწოდებით არსებულ რამდენიმე სოფელზე:

1. სოფელი **აკურა**, რომელიც დღესაც არსებობს დღევანდელი თელავის რაიონში. თუ ისკანდერ მუნშის ცნობებს დავაყრდნობით, შაჰ-აბასს ერთ-ერთი ლაშქრობის დროს საქართველოზე სწორედ ამ სოფლის გზაზე გაუვლია, გრემთან მისულა და დაბინავებულა. შუა საუკუნეების დოკუმენტებში ამ სოფლის სახელად **აკურას** პარალელურად გვხვდება **ახურა**: „აკურა – 1798 - თქვენ მაღალღირსებას, წმინდას დავით გარესჯის მონასტრის არქიმანდრიტს თეოდოსის, მე, ბასილაშვილმან მღვდელმა დავით ჩემი შვილებით თავი შემოგწირე და თქვენც... მამული მიბოძეთ და დამასახლეთ **ახურას**...“ (ქემის, 1903: 167-168).

აკურის ბოლო 1792 - ღმერთმან... საქართველოს მეფის ჭირი მოსცეს - დავით გარესჯის მონასტრის წინამძღუარს - არქიმანდრიტს ილაკიმს... მოეხსენება მათს სიმაღლეს კალაურელთაგან რამთენი ძვირი შეგვაძთხვივეს მონასტრის მამულისათვის **ახურას ბოლოს** საჯნავზე ... (ქსბ, VIII, 1985: 146).

“...**ახურის ბოლოს**, ალაზანში გამოღმა პირზედ, ვინც თარფი გააკეთოს, რადგან წმინდის დავით გარესჯის მამული არის, წინამძღვრის თეოდოსის შეკითხვით უნდა ჩაუდგას...“ [ქემის, 1903: 166].

დოკუმენტები საკმაოდ ბევრია, პირველი დათარიღებულია 1597 წლით, 1708, 1710, 1748, 1871, 1786... წლებით დათარიღებული საბუთები: „აკურა 1711 - ჯანდიერიშვილები, ვაჩნაძენი და **ახურელნი** საჯნავს მიწებზედ შეცილდნენ... აკურის ჯევი რომ მღრივეს ჯევის შეეყრების, ჩაველით ალაზნამდის, **აკურელთ** დარჩა.“ (სიტ., I, 2010: 27).

2. **აკურისი** მდებარეობდა ქვემო ქართლში, ნასოფლარი: „აკურისი - 1654 ...ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ ჩუენ მეფეთმეფემან შენ, ბარათაშვილის პაპუნასა ყმას **აკურელს** აბბაღაშვილს ზურაბასა... და **აკურის** თქუენისაჲ მეზობლის საჩინოსა და თაყაინთ საკერძოდაჲე გამრეკლური მამული თურ-

ქისტანიშვილის ბაგრატიანთა ეპოქა...“ [საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (სიტ., I, 2010: 29).

3. **აკრიანი**, სოფელ **მარტყოფის** ძველი სახელწოდება, ეს სოფელი მდებარეობდა 5-6 კილომეტრის დაშორებით ახლანდელი მარტყოფიდან და ლეკიანობის გამო მოსახლეობა ბარისკენ ჩამოსახლდა.

ცნობილია, რომ შაჰ-აბასის დროს ქართველები აუყრიათ იმ ტერიტორიიდანაც, სადაც მდებარეობს **მარტყოფი** (იგივე **აკრიანი**) და, სავარაუდოდ, აქვე უნდა იყოს ნასოფლარი **აკურისი**.

შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით **აკურა** და **ახურა/ახორა** სინონიმური სახელწოდებებია ერთი და იმავე დასახელებისა საქართველოში.

ვფიქრობთ, სწორედ **აკურას/აკურისის** მოსახლეობა უნდა ყოფილიყო გადასახლებულთა შორის, ამდენად დასახლების ორი სახელით მოხსენიება: აკურა/ახურა ქართული ტრადიციის გამოძახილი ჩანს. ამ სინონიმური წყვილიდან მეტად გამძლე აღმოჩნდა **ახურა/ახორა** (უ-ო მონაცვლეობა ფერეიდნულისთვის ბუნებრივია, შდრ. გურჯი ფერეიდნულში სპარსულის გავლენით გამოითქმის როგორც გორჯი; უთო - ოთო და ა.შ.)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფერეიდნის ქართული სოფლების ჩამონათვალში აკურა სულაც არაა შეცდომის შედეგი, ეს იმ ცოდნის გამოძახილია, რაც ათამ ონიკაშვილს ჰქონდა თავისი ბავშვობიდან, მაგრამ შემდეგ ქართული დასახლების სინონიმური სახელწოდებებიდან ერთი დაიკარგა და დარჩა **ახორა**. **ახორას** შენარჩუნებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ის გაიგივდა არაბულ ან თურქული წარმოშობის სიტყვასთან: ახორა - ბოლო, კიდე; ახორა - ბავა. ქართველებისთვის ეს ტოპონიმი უკვე უცხოენოვანად (სპარსულად) გაიაზრებოდა. სწორედ ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავდა სეიფოლა იოსელიანი: „მარტყოფი, რომელსაც სპარსელნი ახორას ეძახიან“.

### **მარტყოფი/ სოფელი**

როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ასე უწოდებენ ამ დასახლებას არა თავად მარტყოფის მცხოვრებნი, არამედ, სხვა სოფლის მკვიდრნი: თორელები, ახჩაელები, ბოინელები და დაშქესნელები. თავად მარტყოფელები ამ დასახლებას სოფელს უწოდებენ, საკუთარ თავს კი - სოფლიველებს.

**მარტყოფი [ზემო და ქვემო მარტყოფი]** ფერეიდანში არსებული ქართული სოფლების აბსოლუტურად ყველა ჩამონათვალში ფიგურირებს, რომლებიც კი ოდესმე ვინმეს შეუქმნია:

1877 წ. „დროება“ გაზეთი	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ზაქარია ჭიჭინაძე 1895			მარტყოფი
ლადო აღნიაშვილი 1896	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
გოგებაშვილი 1912	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
სეიფოლა იოსელიანი 1922	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	მარტყოფი
იური მარი 1925	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ამბაკო ჭელიძე 1927	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ირაკლი კანდელაკი 1944	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	

დღეს ფერეიდნის მარტყოფის ხსენებაზე ყველას აგონდება საქართველოს მარტყოფი და, როგორც წესი, მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ბევრი ფიქრობს, რომ ფერეიდნის მარტყოფის მცხოვრებნი საქართველოს მარტყოფიდან უნდა იყვნენ გადასახლებულები, თუმცა, როგორც ვთქვით, არ არსებობს არანაირი წყარო, რომელიც ამ ვერსიას დაადასტურებდა ან უარყოფდა. თუმცა, ფაქტი, რომ ქართულ დასახლებას მარტყოფი ჰქვია, მრავლისმეტყველია.

როგორც ცნობილია, მე-17 - მე-18 საუკუნეებში ლეკიანობისგან შეწუხებულმა საქართველოს მარტყოფმა, რომელიც ღვთაების მონასტრის მისადგომებთან იყო გაშენებული, ნელ-ნელა ბარისაკენ გადაიწია 3-4 კილომეტრით. ასე გაჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც თავად მარტყოფელები სოფელს /სოფლისუბანს უწოდებენ, აქაურ მაცხოვრებლებს კი სოფლებს/სოფლისუბნელებს ეძახიან (სახლთხუციშვილი, 1997: 29).

გვიქრობთ, საგულისხმო ტენდენცია ჩანს, რომელმაც თავი იჩინა სპარსეთშიც კი, გადასახლებულმა ქართველებმა იქაც ახლად დაარსებულ დასახლებას სოფელი უწოდეს, თავს კი სოფლიველად მოიხსენიებენ.

სავარაუდოდ, მარტყოფი იყო ერთი დიდი დასახლების საერთო სახელწოდება, იგი იყოფოდა პატარა დასახლებებად, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი სახელი, უბნები, რო-

მელთაგანაც ყველაზე დიდი იყო ზემო ახორა და ქვემო ახორა - პარალელური სახელდებით ზემო აკურა და ქვემო აკურა, დროთა განმავლობაში ახორამ განიმტკიცა პოზიციები და შეაეწიროვა აკურა, რომელიც ბოლოს საერთოდ დაიკარგა. ყველა მარტყოფელი თავს სოფელს უწოდებდა, დანარჩენი ქართული სოფლების მოსახლენი კი (იგულისხმება დაშქესანა, ახჩა ბოინი, თორელი), ბუნებრივია, მას მარტყოფად მოიხსენიებენ.

ფერეიდნელები რომ დასახლებული ადგილების ჩამოთვლის დროს არ მიჯნავენ უბნების სახელებს სოფლის სახელისგან, ფაქტია, და ჩვენთვისაც ხშირად ერთნაირად ჩამოუთვლიათ სოფლისა და მისი უბნის სახელები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ამბაკო ჭკელიძისადმი მიწერილი წერილი გიგო ჩუბინაშვილისა, რომელიც შუა აზიაში მყოფი ფერეიდნელი ქართველისაგან ჩაწერილ სოფლების სახელებს ჩამოთვლის. ამ ჩამონათვალში ერთმანეთის მიყოლებითაა დასახელებული, როგორც სოფლის სახელები, ისე მისი უბნები: 1) მარტყოფი (დიდი სოფელი), 2) ორი სოფელი ქვემო და ზემო კახორა, 3) სიბაქი, 4) ჯალჯალი, 5) ბოინი, 6) აფუსი, 7) ციხე, 8) ცივი წყარო, 9) ლაჩნაანთ მაზრა, 10) გუგუნაან მაზრა, 11) სარდალია წყალი, 12) ქაზუმაანთ მაზრა, 13) ბახშიანთ მაზრა, 14) ონიკაანთ მაზრა, 15) დიხები (სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი/ 25810/).

აქაც მარტყოფი ცალკე დიდ სოფლადაა გამოყოფილი და ქვემო და ზემო კახორა (!) ცალკეა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, მართლაც დიდი სოფლის უბნები ყოფილიყო ზემო და ქვემო ახორა თუ აკურა.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, მარტყოფს რამდენიმე ახალი მიგრაციული ტალღაც დაემატა მომდევნო პერიოდში, რის შედეგად მარტყოფსაც გამოეყო მოსახლეობა, დასახლდა ცალკე სოფელ ჩუღრუთს, ჯაფჯაყსა და სიბაქს. ახლაც ამ სოფლების ქართველი მაცხოვრებლები თავს მარტყოფის განაყარად მიიჩნევენ.

**აფუსი/ რუისპირი** მთიანი ადგილია, დღეს ქალაქის სტატუსი აქვს.

ლადო აღნიაშვილი აღნიშნავს, რომ „აჭუსსწინად ორი სხვა სახელი რქმევიანა. ჯერ ყოფილა ამის ადგილს დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი, მაგრამ დღეს



ნიშნად ამ სოფელის ოდესმე არსებობისა, ორი სახლის ნანგრევი-ღაა დარჩენილი შიგ სოფლის პირში... დღეს განახლებულ სოფელს მიუღია სახელწოდება აჭუსისა... (ლ. აღნიაშვილი, 1896: 189).

აფუსიც, ისევე, როგორც მარტყოფი, ქართული სოფლების ყველა ჩამონათვალში ფიგურირებს, მათ შორის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სომხური ჟურნალებიდან გადმოთარგმნილ სტატიებშიც. გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: აჭრუხი (დროება, 1877, 186); აფუს (დროება 1877, 187); აფური (ტრიბუნა, 1922, 341); ჰაფუსი (აშუროვი, შსს არქივი).

როგორც ფერეიდნელები აღნიშნავენ ჩვენთან საუბარში, აფუსი იყო პირველი სოფელი, სადაც დასახლდნენ ისპაჰანიდან ამოსული ქართველები და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ სხვა სოფლებში.

აფუსში დაახლოებით 100-ზე მეტი წელია, რაც ქართულად აღარ საუბრობენ, თუმცა სოფელი დღესაც ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული.

	აფუსი	აჭრუხი	აჭრუხი	ჰაფუსი	რუისპირი	როისპირი	რუსთავი
გაზეთი დროება 1872	✓						
გაზეთი დროება 1877, N186			✓				
გაზეთი დროება 1877, N187	✓						
ზაქარია ჭიჭინაძე 1895	✓						
ლადო აღნიაშვილი 1896	✓				✓		✓
იაკობ გოგებაშვილი 1912	✓						
სეიფოლა იოსელიანი 1922	✓	✓					
იური მარი 1925	✓	✓					
ამბაკო ჭელიძე 1927	✓					✓	
ალი რაზმარა 1954	✓						
აშუროვი 1944				✓			
კანდელაკი 1944					✓		
ფერეიდნელი ქართველები	✓	✓			✓		

**თორელი/თოღელი/მიანდაშტი/თელავი/ დომბეკმარი/ქამარი.** ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სპარსელები. დღეს ამ დასახლებას ქალაქის სტატუსი აქვს.

ლადო აღნიაშვილი ფერეიდანში ვიზიტისას პირველად ამ სოფელში შევიდა, როცა სოფლის სახელი იკითხა, მიუგეს, რომ ეს დომბეჭამარი იყო. მას, რა თქმა უნდა, არ ეცნო სახელი, რადგან მხოლოდ **თოლერი** ეწერა წიგნაკში და ამდენად ვერც მიხვდა, რომ თორელში იყო, სანამ შემთხვევით არ მოისმინა ქართული საუბარი.

**თოლელი** გვხვდება იმ შვიდი სოფლის ჩამონათვალშიც, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ ყიფიანს და შექმნილია 1872 წელს ათამ ონიკაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით. 1877 წლის 186 ნომრის საგაზეთო სტატიაში კი ვხვდებით სპარსული წარმოშობის ოიკონიმს - **მიუნდემტს**, იქვე ნახსენებია თელავი: „მიუნდემტი ანუ თელავი“, 1877 წლის 187 ნომერში დაბეჭდილ სტატიაში - მხოლოდ **თელავი**; ლადო აღნიაშვილი მას **თოლერს** უწოდებს.

დღეს სოფლის სახელწოდებად გვხვდება **თორელი**. აქაური ქართველები საკუთარი წარმომავლობის სახელადაც **თორელს** ასახელებენ (სხვა სოფლის მკვიდრნი მათ ზოგჯერ თანიანი მრავლობითის ფორმით მოიხსენიებენ: თორელნი – თორელის მკვიდრნი). ჩვენს კითხვაზე, სოფლის რომელი სახელწოდება არის მათთვის ბუნებრივი, თორელის მცხოვრებმა **აბოლყასემ აჰმადიმ** დაუფიქრებლად გვიპასუხა: „ჩვენთან მხოლოდ ვამბობთ თორელი“. ეს ფორმა დამკვიდრდა დღეისათვის ქართულ სამეცნიერო სივრცეშიც.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართულ დიალექტურ კორპუსში ჩვენ მიერ ახლად ჩაწერილ ტექსტებში, სხვადასხვა მთქმელთან ორივე ფორმა თანაბრად გვხვდება: თოლელი/თოლილი და თორელი. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე მთქმელი იყენებს ორივე ფორმას:

„**თოლელჩი** ვიყავ, რამესა ვწერდი...“ (მუხტარ დარჩიაშვილი, მარტყოფი).

„ბონი, **თოლილი** მიკრუნია“ (მუხტარ დარჩიაშვილი).

„**თოლილია**, ბუინია, აფუსია, დაშქესანია“ (ესკანდერ სეფიაშვილი, ნაჯაფაბადი).

„ხო, ეს არი **თორელის**, ჩონ ქართველების მინდორის ბალახები“ (აბოლყასემ აჰმადი, თორელი)

„ეს **თორელ-ბონიელთ** ლექსია“ (ჰეიდარ დარჩიაშვილი, მარტყოფი - თეირანი).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგვხვდება ამ ძირის შემცველი ტოპონიმები: ერწო-თიანეთში ყოფილა სოფელი

**თორიულთკარი**, დღეს იგი უკვალოდ არის გამქრალი. (გ. ბედოშვილი, 1980: 6); თიანეთში დღესაცაა სოფელი **თვალავი**.

**თოლელს** ხშირად **თელავადაც** მოიხსენიებენ. ლადო აღნიაშვილმა ეს დააბრალა გაუგებრობას, რომელიც იქ ადრე საქართველოდან ჩასული ვინმე ალექსის თუ, როგორც ზოგიერთი იხსენებდა - ზაქაროს არასწორ საუბარს მოჰყვა. ეს ზაქარო რაღაც დაუჯერებელ დაპირებებს აძლევდა ფერეიდნელებს სამშობლოში დაბრუნებაზე. ის ამსგავსებდა ფერეიდნის ქართული სოფლების სახელებს საქართველოში მისთვის ნაცნობი დასახლებების სახელწოდებებს და აჯერებდა იქაურ ქართველებს, რომ შაიურდი იგივე ნოდანი იყო, თოლელი - თელავი და ა.შ. (აღნიაშვილი, 1896: 214). არ არის ცნობილი აღნიაშვილის მიერ 1894 წელს ნახსენები ზაქარო როდის სტუმრობდა ფერეიდანს, არის თუ არა თორელის თელავად მოხსენიება მის სტუმრობასთან დაკავშირებული? დღეს მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება, 1877 წელს ქართულ გაზეთში დაბეჭდილ სტატიებში ეს დასახლება უკვე თელავად მოიხსენიება. ეს ოიკონიმი საკმაოდ მყარი აღმოჩნდა, ის გვხვდება სეიფოლა იოსელიანის ჩამონათვალშიც კი 1922 წელს:

„ქართველი სოფლები თოთხმეტი: მარტყოფი, ქომო მარტყოფი, სიბაქი... თოლელი, თელავს თოლელს დაუძახით...“; „აფუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია...“; „თელავნი უწინ ქონიარე ხალდი ჰყოლია...“ „თელავს კარგი მამულები აქ...“ (ქართული დიალექტოლოგია, 1961:153; www.corpora.co, სეიფოლა იოსელიანი).

ზაქარია ჭიჭინაძეც თელავს უწოდებს ამ დასახლებას. ამბაკო ჭელიძეც ორივე სახელს გვთავაზობს: თოლელი და თელავი.

თუმცა, როგორც ჩანს, ყველა თორელისთვის არ იყო მისაღები თელავად მოხსენიება ამ დასახლებისა. ქართულ დიალექტურ კორპუსის ტექსტებში გვაქვს ერთი საინტერესო პასაჟი, რომელიც ამას ადასტურებს:

„თოლელნი ვიყავ, რამესა გწერდი და თოლილის მაგერ თელავი დაგწერე. ამ მოხუც კაცმა, რო ბერ კაცი იყოს, მითხრა: შენ თელავს ნუ დაჰწერ, დააწერე ემას, რო მე გეტყვი!“ (www.corpora.co, მუხტარ დარჩიაშვილი). როგორც ჩანს, ფერეიდანში ჩასული ვიზიტორის (თუ ვიზიტორების) გავლენით გაჩენილი **თელავი** იმთავითვე იყო მიუღებელი თვით ამ სოფლის მკვიდრთათვის, ხოლო მარტყოფის წრის სოფლების წარმო-

მადგენელი მეზობლები რამდენადმე დისტანცირებული იყვნენ სოფლის ისტორიულ სახელწოდებასთან და არ აკავშირებდათ მასთან კოლექტიური მემსიერების ღრმა ფესვები.

**თოლელის** ვარიაციებს ამგვარად წარმოადგენენ წყაროები:

	თოლელი/თოლერი	თოლილი	თორელი	ფორელი	თელავი	მიანდაშტი	მიუნდემუტი	დომბეჯმარი	ქაამარი
გაზეთი „დროება“1872	√								
გაზეთი „დროება“1877, N186					√		√		
გაზეთი „დროება“1877, N187					√				
ზაქარიაჭიჭინაძე					√				
ლადო აღნიაშვილი	√(თოლერი)							√	
სეიფოლა იოსელიანი	√				√				
იური მარი								√	√
ამბაკო ჭელიძე	√				√			√	
აშუროვი						√		√(დომბა ქაამარი)	
კანდელაკი				√					
ფრეიდნელი ქართველები	√	√	√		√	√			√

**ბონი** დღეს გაერთიანებულია თორელთან, ქადაქის სტატუსი აქვს და ოფიციალურად იწოდება ბუინ-მიანდაშტად. ცხოვრობენ ქართველები, ლურები და სპარსელები.

	ბონი	ბომი	ბუინი	ბონისი
გაზეთი „დროება“1872	√			
ზაქარიაჭიჭინაძე	√			
ლადო აღნიაშვილი	√			
სეიფოლა იოსელიანი	√			
იური მარი	√	√		
ამბაკო ჭელიძე	√			
ალი რაზმარა	√			

აშუროვი			√	
კანდელაკი				√
ფრეიდენლი ქართველები	√		√	

**დაშქესანაში** ცხოვრობენ ქართველები, თურქები და სპარსელები. ამ სოფლის სახელი სხვადასხვაგვარად გვხვდება: **ტაშქესანა, დაშკენტი / ტაშკენტი**, სეიფოლა იოსელიანი მას დაშქესანას უწოდებს, ასევე მოიხსენიებენ ფრეიდენის ქართველები მას დღეს.

ხალხური ეტომოლოგია ამ სოფლის სახელისა ასეთია: „დაშქესანა თურქული სახელია, ნიშნავს ქვას მტრეველს“ (www.corpora.co, მუხტარ დარჩიაშვილი).

იპაპანის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლის, ვინმე აშუროვის ცნობით, **დაშქესანაში** თავიდან ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები. მათ საერთო ეკლესია ჰქონიათ. ქართველების გამაჰმადიანების შემდეგ სომხებს დაუტოვებიათ ეს სოფელი და სხვაგან გადასულან, მათ ადგილას კი მეზობელი სოფლიდან, ხამიშლიდან თათრები გადმოუსახლებიათ.

როგორც ვთქვით, სოფლის სახელწოდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება:

	ტაშქეშანა	დაშქენტი	ტაშკენტი	ტაშქენაში	ტაშკეშინა	დაშქესანა	ტაშქესანა	დაშქესანი
გგაზეთი „დროება“ 1872	√							
გგაზეთი დროება 1877, N186		√						
გგაზეთი დროება 1877, N187			√					
ზნაქარია ჭიჭინაძე				√				
ლლადო აღნიაშვილი							√	
იააკობ გოგებაშვილი					√			
სსეიფოლა იოსელიანი						√		

იური მარი						√	√	
ამბაკო ჭელიძე								√
ალი რაზმარა								√
აშუროვი								√
ფერეიდნელი ქართველები						√		

**ახნაში** მოსახლეობენ თურქების სპარსელები და ქართველები. **ახნა**, იგივე **აღნა**, გვხვდება ყველა წყაროში დაწვებული 1972 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან. **ახნა** თურქული სიტყვაა და ნიშნავს თეთრ მდინარეს. საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში ყოფილა სოფელი **ახნა**, ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, დღევანდელ საინგილოშიც.

	ახნა	აგნა	ახანი	აღნა	ახნალი
გაზეთი „დროება“ 1872	√				
გაზეთი „დროება“ 1877, N186	√				
გაზეთი „დროება“ 1877, N187	√				
ზაქარია ჭიჭინაძე	√				
ლადო აღნიაშვილი	√				
იაკობ გოგებაშვილი		√			
სეიფულა იოსელიანი	√				
იური მარი			√		
ამბაკო ჭელიძე	√				
ალი რაზმარა				√	
აშუროვი	√				√
კანდელაკი	√				
ფერეიდნელი ქართველები	√			√	

**ვაშლოვანი/სიბაქი** მდებარეობს მარტყოვის სამხრეთ-დასავლეთით 8 კილომეტრის დაშორებით. ცხოვრობენ ქართველები და ლურები.

ამ სოფლის სახელად გვხვდება როგორც **ვაშლოვანი**, ისე **სიბაქი**. თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ვაშლოვანი, სიბაქი, მისი სპარსული შესატყვისი, მოგვიანებით უნდა დამკვიდრებულიყო (სიბ - სპარსულად ვაშლი).

როგორც ფერეიდნელი ქართველები ამბობენ, **ვაშლოვანი (სიბაქი), ჩუღრუთი და ჯაყაყი** მარტყოფის განაყარი სოფლებია, თუმცა ზოგიერთის აზრით, ეს მხოლოდ ჩუღრუთს ეხება, დანარჩენ სოფლებს კი - არა: „ეხლა ერთლა ვთქო ჩუღრუთელები და სოფლიველები ერთჯურად ლაპარაკობენ, ერთჯურადა ფიქრობენ. რასთინ რო? - ათას ათი წელს ემისყე წინა ჩუღრუთელები სოფელჩი იყნეს, ექითყე გადმოიდეს ჩუღრუთსა. სიბაქელები ჩუღრუთელებისაით და სოფლელებისაით არა ლაპარაკობენ, სსოჯურად ფიქრობენ (ესკანდერ სეფიაშვილი, www.corpora.co).

არც ვაშლოვანი და არც სიბაქი არ არის ნახსენები პირველ საგაზეთო სტატიებში (დროება, 1872, 1877); ამ სოფელს საერთოდ არ ახსენებს გოგებაშვილი; სეიფოლა იოსელიანის ჩამონათვალში ის იხსენიება როგორც **სიბაქი**. ასევე **სიბაქად** მოიხსენიებს მას იური მარი, ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება როგორც **სიბაქი**, ისე **ვაშლოვანი**; ირაკლი კანდელაკთან - **ვაშლოვანი...** საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლის, აშუროვის მოხსენებაში ნახსენებია **სიბაქი**.

დღეს ორივე სახელწოდებას შეხვდებით ფერეიდნელების მეტყველებაში, თუმცა უპირატესობას ბოლო დროს ანიჭებენ **სიბაქს**. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ **სიბაქი** ოფიციალური სახელია ამ სოფლისა.

ბოლო დროს გაჩნდა **სიბაქის** ხალხური ეტიმოლოგიაც. ფერეიდნელი ქართველი, ესკანდერ სეფიაშვილი ცდილობდა აეხსნა ჩვენთვის, რომ სიბაქს ვაშლოვანთან საერთო არ ჰქონდა და შემოგვთავაზა თავისებური ასხნა ტოპონიმისა **სიბაქი**: „იცი, როგორ არი? - სიბაქია, პარსულათ სიბ ოზდათია. იმიშინა ჩემ მეშიდე პაპა, მეშიდე პაპა, ქარიმ ბაქ, ხო! და მეცხრავე მირზა ბაქ. სახელის უკან ბაქი დქონდაყე, ხო! ემათაცა ერთ ემე'რი რო გუამბიანყე, ოზდაათი ბაგი დყოლიაყე. პარსულათ შაიქნების სი ბაქ. იანი ოზდაათი ბაქი დყოლია. -ვაშლისა, ვაშლი არ არი! ოცდაათი ბაგი, ოცდაათი ბერკაცი იგრე დყოლია. მაძხე! გითხრა ხო! ჩემ მესუთე, მეშიდე და მერვე პაპას სახელს უკან ბაქი აყე. ურუჯყურბეგს არა აქ, ონიკას არა აქ, თავის ბიჭია ქერიმ ბაქ, მირზა ბაქ, ემ ორს ბაგი აქყე. არა, ვაშლთან ხელი არა აქ!“

ჩვენი გაკვირვების შემდეგ, მან შეარბილა კატეგორიული ტონი და გვითხრა შემრიგებლურად: ემასაც ამბობენ, ესლა იმასაც ამბობენ (www.corpora.co, ესკანდერ სეფიაშვილი).

ეს ვერსია მოვისმინეთ მუხტარ დარჩიაშვილისგანაც: „სიბაქი, ჩემ აზრით, ოცდაათი ბაგი ჰყოლია და ბაგი თურქულად როგორც ხანი, როგორც გუბერნატური“ (www.corpora.co, მუხტარ დარჩიაშვილი).

	ვამლოვანი	სიბაქი
ზაქარია ჭიჭინაძე	√	
ლადო აღნიაშვილი		√
სეიფოლა იოსელიანი		√
იური მარი		√
ამბაკო ჭელიძე	√	√
ალი რაზმარა		√
აშუროვი		√
კანდელაკი	√	
ფერეიდნელი ქართველები	√	√

**ჩუღრუთი** დაშორებულია მარტყოფიდან 15 კილომეტრით. მოსახლეობენ ქართველები, ლურები და თურქები.

„ესლა ვნახოთ ჩუღრუთელები რო სოფლეველებია, რაზე ჩუღრუთელნი შაიქნეს. პირველად თავით სოფელი ჩუყურადარი და თურქულ სახელია, ნიშნავს დაბალ, დაცემულ ალაგს“ (www.corpora.co, მუხტარ დარჩიაშვილი).

ბაბაკ რეზვანის თქმით, მას ასევე ეძახიან **ჩოდრუთს**. ამ სოფელს ადრე უწოდებდნენ ჩოდურ(ი)თა, რაც ავტორის აზრით, ნიშნავს (ან ნიშნავდა) დაბალ მთას ადგილობრივ ქართულ დიალექტზე (Rezvani 2009: 609).

	ჩუღრუთი	ჩუღრუთი	ჩუყურეთი	ჩუღრუთი	ჩუღრუთი	ჩუღრუთი
ლადო აღნიაშვილი	√					
იაკობ გოგებაშვილი		√				
სეიფოლა იოსელიანი			√	√		
იური მარი	√(ჩუღრუთი)					



ამბაკო ჭელიძე	✓			✓		
ალი რაზმარა					✓	
აშუროვი						✓
კანდელაკი	✓					
ფერეიდნელი ქართველები	✓			✓		

**ჯაყჯაყში** ცხოვრობენ თურქები, ქართველები და ლურები. მისი სპარსული, ოფიციალური სახელია ნეჰზად აბადი (Nehzad abad).

ჯაყჯაყი ვაშლოვანიდან (სიბაქიდან) დაშორებულია 13 კილომეტრით: „ცამეტ კილომეტრი ვაშლოვანსაყე რო წახიდე, მერე იქ ჯაყჯაყია, ქართველებისა“ (www.corpora.co, რეზო დავითაშვილი).

ეს სოფელიც მარტყოფის განაყარად მიიჩნევა: „სიბაქი და ჯაყჯაყი და ჩუღურეთი სულ მარტყოფსაყე გადასულან, იქ დასახლებულან (www.corpora.co, მ. დარჩიაშვილი).

თავად ფერეიდნელები ამ სოფლის სახელის შემდეგ ეტიმოლოგიას გვაწვდიან:

„...ექ რო ეს ჩადღებდი, რო კილტე ემე ქნა, ეს ეგრე რო უნდოდა ჳმა მადსცეს, უნდოდა აჯაყჯაყო, მიდზიდო-მადზიდო, ეგ ხმას აძღევედა, ჯადჯაყებდა ესე და ეს ჯადჯაყი ექ ხმა იმ სოფელისა ემაზე დაარქეს მეორე ჯაყჯაყი, მეორეთ ემას ნიშნავს, რო შენ ექ მიხოლ, ექ მიხოლ, მაინც ექ სოფელი არი და არა ძხედავ. ექ მიდგები ემ ნახეე სოფელს დაინახავ, ამ ჳარა გვერძე რო მიდგები, იმ ნახევარს დაინახავ. ზუსტად პირდაპირ ერთგან, მალალ-დაბალჩიგ არი, მიხოულ-მოხოულჩი, მიჯაყებულ-მოჯაყებულს ვეძახით. - ჯაყჯაყს ვეძახით იმ ადგილს. ეს იმაზეგა ძქიან იმ სოფელს ჯაყჯაყი (www.corpora.co, დარჩიაშვილი).

	ჯაყჯაყი	ჯალჯალი
ზაქარია ჭიჭინაძე	✓	
ლადო აღნიაშვილი		✓
იაკობ გოგებაშვილი	✓	
სეიფულა იოსელიანი	✓	
იური მარი	✓	
ამბაკო ჭელიძე	✓	
ალი რაზმარა	✓	
აშუროვი	✓	
კანდელაკი	✓	
ფერეიდნელი ქართველები	✓	

გარდა ამ დასახლებებისა, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ავტორს დასახლებული აქვს რამდენიმე ქართული სოფელი, რომელთა კვალი დღეს გამქრალია, ზოგი მათგანი საერთოდ არ არსებობს, ზოგან კი ქართული მოსახლეობა აღარაა.

### 1. **შავსოფელი/შაურდი/შაიურდი/შაპიურთი/შაგურდი/შაგურთი/შაპურდი**

ეს სახელწოდება 1877 წლის გაზეთ „დროებაში“ (№186) გვხვდება პირველად. ეჩმიადინის სომხური ჟურნალიდან გადმობეჭდილ კორესპონდენციაში, რომელიც თავის მხრივ მიღებული იყო თეირანიდან, საყურადღებო ინფორმაციას ვაწყლებით: „სულ 2000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ ჭრეიდანის მაზრის სხვადასხვა სოფლებში... ამათ სოფლებს ჰქვიათ სახელად: აჭრუხი, დაშკენტი, მიუნდემში ანუ თელავი, შაპიურთი, ახჩა, ზემო და ქვემო ახორა ანუ მარტყოფი და სხვ.“

ლადო აღნიაშვილი ახსენებს ამ სოფელს, როგორც **შაიურდს**: ამ სოფელში მცხოვრებნი, მისი თქმით, თათრული ენით (თურქულად) საუბრობენ (აღნიაშვილი, გვ. 193).

სეიფოლა იოსელიანი ასევე გვაძლევს ქართული სოფლების ჩამონათვალში ამ სახელს: დიალექტურ ტექსტებში ამ სოფელს მოიხსენიებს როგორც შაიურდს, ხოლო გაზეთ „ბახტრიონში“ დაბეჭდილ სტატიაში გვხვდება შაგურდი (ბახტრიონი, 1922, №18).

ამბაკო ჭელიძე ამ სოფელს **შავსოფელად** მოიხსენიებს და იქვე ფრჩხილებში უთითებს, რომ ეს **შაურდია**, აშუროვი - **შაგურთს**, ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატიებში კი გვხვდება **შაპიორდი** (მიმინოშვილი, 2001: 8)

ფერეიდნელი სომეხი, ლეეონ მინასიანი ამ სოფელს ქართულ სოფლად მიიჩნევს და **შაპურდს** უწოდებს (მინასიანი, 2001: 219).

2. **დეესური/დეესური /დეჰსური**, ლადო აღნიაშვილის წიგნში ქართულ სოფელთა ჩამონათვალში გვხვდება **დეესური** (აღნიაშვილი, 1896: 192). შემდგომ კი, ამ სოფლებზე საუბრისას - მისი ფონეტიკური ვარიანტი **დეესური**: „შაანათში სპარსული ენაა, **ქვემო მარტყოფში** სპარსული და ლორული, **შაიურდში** - თათრული (თურქული), და **დეესურსა** და **ქედუბანაქში**, ანუ **ნინოწმინდაში** - ქურთული“ (აღნიაშვილი, 1896: 192).

ტექსტში, რომელიც აკაკი შანიძის მიერ არის ჩაწერილი სეიფოლა იოსელიანისგან, ასევე გვხვდება სოფელი **დეჰსური**

იმ სოფელთა რიგში, რომლებსაც ქართულ სოფლებს უწოდებენ: ემეებს ქართველი სოფლებს დაიძახიან. სხუებიც არი, რომას ეკუთრების“ (ქართული დიალექტოლოგია, 1961: 153; [www.corpora.co, სეიფოლა იოსელიანი).

1922 წელს ჟურნალ „ბახტრიონში“ დაბეჭდილ ინტერვიუში სეიფოლა იოსელიანთან ეს სოფელი ჩამონათვალში გამოჩენილია (ბახტრიონი, 1922. 18)

**ნინოწმინდა/ქუდუბანაქი/ქუდგუნაქი**, ლადო აღნიაშვილია პირველი, რომელიც ამ სოფლის დასახელებას გვაწვდის, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „ნინოწმინდა ჰკარგავს თავის სახელს და ბევრ ქართველსაც კი ქუდუბანაქი უფრო ემარჯვება ვიდრე ნინოწმინდა და ხშირად ლაპარაკში ნინოწმინდის სახელს თუ ქედუბანაქიც ზედვე არ დაურთე, ვერც კი გაიგებენ“ (ლ. აღნიაშვილი, 1896: 186).

გამოდის, რომ აღნიაშვილი თქმით, 1894 წლისთვის აქ, ამ სოფელში, არათუ აღარ იციან ქართული და საუბრობენ ქურთულად (აღნიაშვილი, 1896: 186), არამედ ივიწყებენ სოფლის ქართულ სახელსაც კი.

იაკობ გოგებაშვილიც, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს ფერეიდანის და ფერეიდნელი ქართველების შესახებ მცირე მიმოხილვა: „პატარა საქართველო სპარსეთში“, ასევე ახსენებს ამ სოფელს და უთითებს იქ მოსახლე კომლების რაოდენობასაც კი (გოგებაშვილი, 1992: 370)

ოიკონიმი **ნინოწმინდა** მაინც რჩება ფერეიდნელ ქართველთა მესხიერებაში გარკვეული პერიოდი, ის დასტურდება სეიფოლა იოსელიანთან და ამბაკო ჭელიძესთანაც: ნინოწმინდას დაიძახიან **ქუდგუნაგს** (სეიფოლა იოსელიანი); ამბაკო ჭელიძე ასახელებს იქ მოსახლე კომლების რაოდენობას - 400 სულს და აღნიშნავს, რომ ქართულს ივიწყებენ.

**შანათი**, გვხვდება მხოლოდ ლადო აღნიაშვილთან, ავტორის თქმით, შანათში ნახევარი ქართველები არიან, ნახევარი თათრები, მარტო ქართველები 100 კომლი. აქ სპარსული ენაა მხოლოდ.

**დარბენდი/დარბანდი**, ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება, ის ბახტიარების სოფელია და იმ დროისთვის 40 სული ქართველი ცხოვრობდა.

**სარდაბი**, მხოლოდ ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება, ავტორი მას ბახტიარების სოფლად მიიჩნევს და წერს, რომ 40 სული ქართველიც ცხოვრობდა.

**ბადიგანი**, ეს სოფელიც ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება, ავტორი მასაც ბახტიარების სოფლად მიიჩნევს და წერს, რომ აქ 25 სული ქართველი ცხოვრობდა.

**აღაგოლი**, სეიფოლა იოსელიანი აღაგოლს ფერეიდნის ქართულ სოფელთა ჩამონათვალში ახსენებს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ იმ დროისთვის ის ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდათ ქართველებს. „აღაგოლი ქართველებისა იყო, ქურთებმა წაართესყუ. ესლა ორ-სამ კომლი ქართველია იქა, რაქ თენ კომლიცა ქურთია“ (სეიფოლა იოსელიანი).

**უზუნ ბულაყი**, იური მარის ჩანაწერებში ვხვდებით ფერეიდნული სოფლის ამ დასახელებას, საინტერესოა, რომ იური მარმა ეს ნაშრომი ფერეიდანზე შექმნა ფერეიდნელი ჯარისკაცის, ვინმე მათაყიას მეტყველებაზე დაყრდნობით. როგორც 1925 წელს ნიკო მარისადმი გაგზავნილ წერილში ჩანს, ფერეიდანში ასევლასაც აპირებდა. შეძლო თუ არა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, სამწუხაროდ, არ ჩანს.

**ხამის ლიანი**, ამ სოფელსაც მხოლოდ იური მარი ახსენებს სხვა ქართული სოფლების ჩამონათვალში, როგორც ჩანს, იმ დროისთვის შესაძლებელია რამდენიმე ქართული ოჯახი მართლაც ცხოვრობდა ამ სოფელში, თუმცა დღეს ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, ამ სოფელში ქართული ოჯახების არსებობა ვერც ფერეიდნელმა ქართველებმა დაგვიდასტურეს.

**ავჭალა**, 1944 წელს ფერეიდნის ქართულ სოფლებში იმყოფებოდა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, რომელმაც ფერეიდნელთა ცხოვრებაზე გადაიღო ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“, მასვე ეკუთვნის რამდენიმე პუბლიკაცია ფერეიდნელი ქართველების შესახებ. თავის სტატიებში ის სხვა ქართულ სოფლებს შორის ასახელებს სოფელ **ავჭალას**. საინტერესოა, რომ ეს სოფელი სხვების ჩამონათვალში არ **ჩანს**. ჯერ კიდევ ისპაჰანში შეხვდა ექსპედიციის წევრებს პოლიციელი, რომელიც ფერეიდნელი ქართველი აღმოჩნდა სოფელ ავჭალიდან. სტატიაში აღნიშნულია, რომ ირაკლი კანდელაკი უკვე ფერეიდანში ყოფნისას სოფელ ავჭალასაც სტუმრობდა (დროშა, 1958, 3:11-13).

**გიორგიშმინდა**, ამ სოფელს ასახელებს ირაკლი კანდელაკი სხვა სტატიაში (პიონერი, 1960, 5:9).

**ხუნგი**, ეს სოფელი წყაროებში მიჩნეული იყო როგორც სომხური, ასე გვითხრეს ჩვენც იქ ყოფნის დროს ადგილობრი-

ვებმა. სომხების წასვლის შემდეგ რამდენიმე ქართულმა ოჯახმა იყიდა იქ სახლი და მიწის ნაკვეთი. ჩვენც მხოლოდ ამ სოფლის ეკლესიის ნანგრევებთან მივედით 2008 წელს და სოფელში შესვლა არც გვიფიქრია. თუმცა ხუნგს ქართულ სოფლად იხსენიებენ 2001 წელს ფერეიდანში ჩასული ექსპედიციის წევრები ოთარ მიმინოშვილი და ნომადი ბართაია. როგორც ოთარ მიმინოშვილი წერს „ხუნგში ბატონი ამბაკო ჭელიძის სტუმრობაც ახსოვთ, მისი დაპირებებიც“ (თბილისის უნივერსიტეტი, 2001, 4:17). ამბაკო და სარა ჭელიძეები სოფელ ხუნგს არსად არ ახსენებენ. როგორც ჩანს, ეს ოჯახი, სადაც მისი სტუმრობა ახსოვდათ, სხვა სოფლიდან იყო საცხოვრებლად გადასული ხუნგში.

იაკობ გოგებაშვილს სხვა ჩვენთვის ნაცნობ სოფლებს შორის ქართულ სოფლად ნახსენები აქვს: **თონეთი, ყარაბაღი, კუთხე, გაღმა სოფელი, ხევის პირი**. გარდა ათამ ონიკაშვილისა, რომელიც 1871 წელს ჩამოვიდა საქართველოში სპარსეთიდან, იაკობ გოგებაშვილის ინფორმატორები სხვა ფერეიდნელი ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, იაკობ გოგებაშვილს ხშირად სტუმრობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში სპარსეთში მოღვაწე ქართველი არქიმანდრიტი ევსევი ცაბაძე, რომლის რამდენიმე ინფორმაცია სპარსელი ქართველების შესახებ პრესაშიც იყო დაბეჭდილი.

ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც ასევე ეყრდნობოდა ათამ ონიკაშვილის, ევსევი ცაბაძის, რაფიელ ნებიერიძის, ასევე სომხურ გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციებს, გარდა ყველასთვის ცნობილი ქართული სოფლებისა, დასახელებული აქვს **მელაანი, მუკუხანი, მაჩხანი** (ასეა!).

**მეჯრუხევი**, ამ სოფელს ახსენებს 1907 წელს ილია კურტანიძე, რომელიც ოთხი წელი ცხოვრობდა სპარსეთში (ისარი, 1907 - გაზ. „ისარი“, ტფილისი, 1907, 19).

ფერეიდანის რამდენიმე დასახლების სახელი განხილულია ბაბაკ რეზვანის მიერ. ეს ტოპონიმები მოკებნილი აქვს იმ რეგიონში, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ. იგი რამდენიმე მათგანს ქართულ ახსნას უძებნის. მისი თქმით, ფერეიდანის ჩრდილო დასავლეთ ნაწილს უწოდებენ **ქარჩემოს**. ეს ის ადგილია, სადაც მდებარეობს ქართული სოფელი შაჰვურდი და რამდენიმე სომხურ-თურქულენოვანი სოფელი. ტოპონიმში **ქარჩემო** ავტორი გამოყოფს ქართ ძირს და ასე აღადგენს: **\*ქართჩემო** ან **\*ქართჩემობა** (ჩემი ქართველი/ჩემი ქართველო-

ბა). ავტორი ამის დასტურად ახსენებს ფერეიდნელ ქართველთა თვითწოდებას „ჩემ ძოლი“, რომელიც გამოიყენება როგორც პირველადი მარკირება საკუთარ ჯგუფთან იდენტიფიკაციისას. ამ რაიონში ბევრი ტოპონიმი, რომლებიც, მისი თქმით, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართული ენით. **ბალტაქი (Baltaq)**, ასევე წარმოითქმის როგორც **ბალთახი (Baltakh)** - რისი მნიშვნელობაც შეიძლება იყოს: ბალთა ხე, ბალთა ხევი, ბალთა ტყე. ამ სამი შესაძლებლობიდან ავტორი უპირატესობას ანიჭებს ბალთა ხევს და უკავშირებს საქართველოში, თბილისსა და თიანეთს შორის მდებარე სოფელს, რომლის სახელიცაა ბალების ხევი (Rezvani 2009: 610).

შემდეგი ტოპონიმები, რომლებსაც რეზვანი განიხილავს: **აზნავოლე (Aznavole/ Aznavule and Aznaule)** - უკავშირებს ტოპონიმ ზნაურს და ამოსავლად მიაჩნია ქართული სიტყვა აზნაური; **რაჭა (Racha)** - მდებარეობს ფერეიდანის ქართული რაიონიდან დასავლეთით. ეს სოფელი არ არის ქართული დღეისათვის, თუმცა, ავტორის თქმით, ფერეიდანელი ქართველების სამშობლოა საქართველოს რეგიონი რაჭა. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებს იმას, რომ სტანდარტული სპარსული წარმოთქმით ის უნდა წარმოითქმოდეს როგორც რაჩეჰ (Racheh), თუმცა ბახტიარები და ქართველები მას უწოდებენ **რაჭას; ბალტიჯე (Beltije)** - საწყის ფორმად, საიდანაც მიღებულია ეს ტოპონიმი, მიიჩნევა: 1. ბალეთ-ჩი. - ბალეთი - ბლების ქვეყანა; 2. ბელთ ტუჩი.; **ენალუჯი (Enaluje)** - ენალურჯი.

ავტორის თქმით, ფაქტია, რომ ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი ამ ტოპონიმების ახსნა სხვა ენობრივი მასალის დახმარებით, გარდა ქართულისა.

მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართული ელემენტის დადასტურება არაქართულენოვანი რეგიონის ონომასტიკურ მასალაში, თუმცა აკადემიური სიზუსტით და შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატით. ბაბაკ რეზვანის მცდელობა, ახსნას ამ რეგიონის ზოგიერთი ტოპონიმი ქართული წარმომავლობით, ხალხური ეტიმოლოგიის დონეზე თუ შეიძლება იქნეს განხილული. სავარაუდოდ, ეს მოსაზრებები მისი ქართულენოვანი ინფორმატორების გავლენის შედეგი უნდა იყოს და ისინი უფრო ნაივური ეტიმოლოგიების შტაბეჭდილებას ტოვებენ. თუმცა ეს მასალა, იძლევა დაფიქრების საბაზს და აღვივებს მომავალი კვლევის ინტერესს.

**დასკვნა.** ტოპონიმების შესწავლა პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ჩასახლებულთა ყოფა-ცხოვრების, ისტორიის შესახებ. დღემდე შემორჩა პირველ მიგრანტ ფერეიდნელ ქართველთა მიერ დარქმეული სახელების ერთი ნაწილი, თუმცა თავდაპირველი ინფორმაცია მათ შესახებ მიგრანტთა მეხსიერებაში დაკარგულია. ამიტომაც სამშობლოსთან ყოველი, თუნდაც ეპიზოდური კავშირი გარკვეულ კვალს ტოვებდა მათზე - იწყებოდა „მეხსიერების აღდგენა“ და იმის მიხედვით, საქართველოდან ჩასული ადამიანი მისთვის ნაცნობ რომელ გეოგრაფიულ სახელს მიამსგავსებდა ფერეიდნელ ქართველთა სოფლების სახელებს, ჩნდებოდა დასახელების პარალელური ვარიანტები, ხშირად სრულიად გაუმართლებელი. ბევრი სოფელი სახელწოდებასთან ერთად გაქრა, ბევრში მოსახლეობა მთლიანად ასიმილირდა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და სოფლის ძველი სახელიც დაიკარგა. ამას გარდა, მნიშვნელოვანი იყო სხვა ეთნიკური ჯგუფების გავლენაც - პარალელურად არსებობდა გეოგრაფიული პუნქტების მათ მიერ შერქმეული სახელებიც. ამას ემატება ადმინისტრაციული დასახელებებიც, რომლებსაც მოსახლეობა, ფაქტობრივად, არ იყენებს ერთმანეთთან საუბარში, თუმცა ოფიციალურ მიმოქცევაში მხოლოდ ეს ვარიანტები გამოიყენება.

ქართული ტოპონიმის შენარჩუნება ფერეიდნულ თემში თვითმყოფადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სტატიაში მხოლოდ სოფლების დასახელებები განვიხილეთ. არანაკლებ საინტერესოა ფერეიდნის მიკროტოპონიმია, რომლის შესახებ სტატიაც აგრეთვე მზადდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

აღნიაშვილი, 1896: აღნიაშვილი ლ., სპარსეთი და იქაური ქართველები, თბ. 1896.

აშუროვი, 1943: ნარკვევი ფერეიდანის „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ 1944 წლის 26 მარტამდე“, საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, საქმე 229, აღწერა 25, ყუთი 39.

ბელოშვილი, 1980: ბელოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.

გიგინეიშვილი, 1961: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

გოგებაშვილი, 1912: გოგებაშვილი ი., საგანძური, პატარა საქართველო სპარსეთში, თბ. 1992.

დროება, 1872: გაზ. „დროება“, ტფ., 1872, 13.

დროება, 1877: გაზ. „დროება“, ტფ., 1877, 186.

დროება, 1877: გაზ. „დროება“, ტფ., 1877, 187.

დროშა, 1958: ჟურ. „დროშა“, თბ., 1958, 3.

თბილისის უნივერსიტეტი, 2001: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 2001, 4.

ივერია, 1897: გაზ. „ივერია“, ტფ., 1897, 2.

ისარი, 1907: გაზ. „ისარი“, ტფ., 1907, 19.

კემულარია, 2010: კემულარია მ., ქურდოშვილი ს., ფერეიდნის ტოპონიმიდან, ქართველური ონომასტიკა, კრ. 4, თბ. 2010, გვ. 133-144.

კუტალაძე, 1990: კუტალაძე მ. ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები, საკანდიდატო დისერტაცია, 1990.

მარი, 1962: Marr Ю. Н., Добавление к статье Тегеранские впечатления, იური მარის წერილები ნიკო მარს, თსუ შრომები, ტ. 99, გვ. 43-62, 1962.

ნიკიტინი, 1937: Nikitin, B., “Life and Work of Y. N. Marr, Jr.,” *Georgica* 4-5, autumn pp. 278-86.

[https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PDF/Georgica\\_1\\_4-5.pdf](https://www.ocf.berkeley.edu/~shorena/PDF/Georgica_1_4-5.pdf)

ორბელიანი, 1981: ორბელიანი, პ. ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981.

პიონერი, 1960: ჟურნ. „პიონერი“ თბ., 1960, 5.

რეზვანი, 2009: Rezvani B, *The Fereydani Georgian Representation of Identity and Narration of History: A case of Emic Coherence*, 2009.

საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში , ტ. I, თბ., 2010.

სახლთხუციშვილი, 1997: სახლთხუციშვილი უ., ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბ. 1997

სეფიანი, 2017: სეფიანი რ. (დადო სეფიაშვილი), ირანის ქართველების მშობლიური მხარე, 2017.

ტრიბუნა, 1922: გაზ. „ტრიბუნა“, ტფ., 1922, 18.

უთურგაიძე..., 2002: უთურგაიძე თ., ჩხუბიანიშვილი დ., გიუნაშვილი ჯ., ზემო მარტყოფის მიკროტოპონიმის შესწავლისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული, II, 2002.

ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;



ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 2008.

ქართული სამართლის ძეგლები, 1985: ქართული სამართლის ტექსტები ტ. 8, სასამართლო არზე-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, თბ., 1985.

ქრონიკები, 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ., 1897.

ქრონიკები, 1903: ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ [მისივე წინასიტყვაობით], ფოთი, 1903.

შანიძე, 1941: შანიძე აკ., ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1941, 8. ტ. 2. გვ. 761-768.

ჩუბინაშვილი, 1930: ჩუბინაშვილი გ., წერილი ამბაკო ჭელიძეს, სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი/ ა. ჭელიძის არქივიდან / 25810.

ჩხუბიანიშვილი, 2012: ჩხუბიანიშვილი დ. საენათმეცნიერო წერილები. თბ.2012.

ჭელიძე, 1935: ჭელიძე ა., ფერეიდნელი ქართველები, თბ. 1935.

ჭიჭინაძე, 1895: ჭიჭინაძე ზ., ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი, თბ. 1895.

ჭიპაშვილი, 1972: ჭიპაშვილი გ., ირანის ქართველი მოსახლეობა, მნათობი, თბ., 1972, 8.

ჯავახიშვილი, 1998: ჯავახიშვილი ი., თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ., 1998.

**ინტერნეტ წყაროები:**

[www.corpora.co](http://www.corpora.co)